დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, განათლების საფეხური
ახალი უმაღლესი სასწავლებელი– ნიუუნი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასახელება

ბიზნესის ადმინისტრირება, VI დონე, ბაკალავრიატი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2024 წლის 21 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2025 წლის 29 იანვარი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი–ნიუუნი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404916203
დაწესებულების ტიპი	კოლეჯი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მ. აბდულ რაუფი, ვიტენბორგის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი, აპელდორნი, ნიდერლანდები
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თეა კასრაძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ალავიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Business Administration
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება N18, 2019 წლის 18 იანვარი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ახალ უმაღლეს სასწავლებელში (ნიუუნი) თბილისში. ის არის საუნივერსიტეტო პროგრამა, რომელიც სტუდენტებს აძლევს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ბიზნესის მართვის სფეროში. პროგრამა შედგება 240 ECTS კრედიტისგან და მოიცავს რვა სემესტრს. პროგრამა აერთიანებს სავალდებულო კურსებს, არჩევით საგნებსა და პრაქტიკულ კომპონენტს სრულყოფილი განათლების უზრუნველსაყოფად. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას - მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ წვლილის შეტანა როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კრიტიკული აზროვნების, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და ცვალებად ბიზნეს გარემოსთან ადაპტაციის უნარების განვითარებას.

პროგრამის რაოდენობრივი ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში გვიჩვენებს, რომ პროგრამა შემდეგნაირად არის სტრუქტურირებული:

- პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა შედგება 191 კრედიტის სავალდებულო კომპონენტებისგან, 15 კრედიტის სავალდებულო არჩევითი საგნებისგან და 34 კრედიტის თავისუფალი არჩევითი საგნებისგან. ასეთი სტრუქტურა უზრუნველყოფს ბალანსს საფუძვლიან საბაზისო ცოდნასა და სპეციალიზებულ კომპეტენციებს შორის.
- პრაქტიკის კომპონენტი: სავალდებულო 10-კრედიტიანი სტაჟირება სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალურ სამუშაო გარემოში გამოიყენონ მიღებული ცოდნა და განავითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები.
- ენობრივი მოთხოვნები: სწავლება ძირითადად მიმდინარეობს ქართულ ენაზე, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიზნეს ინგლისურსა და სხვა უცხო ენებს საერთაშორისო კომუნიკაციის უნარების გასაუმჯობესებლად.
- შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც აერთიანებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. კურსის დასაძლევად საჭიროა მინიმუმ 51 ქულის მიღება.
- ხარისხის მიღების მოთხოვნები: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 240 კრედიტი და შეასრულოს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2024 წლის 21 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ახალ უმაღლეს სასწავლებელში (ნიუუნი) თბილისში, ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის

შეფასების მიზნით. ეს იყო რეაკრედიტაციის პროცესის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხარისხისა და რელევანტურობის უზრუნველყოფას.

ექსპერტთა ჯგუფში შედიოდა:

- სტუდენტთა ერთი წარმომადგენელი, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას სტუდენტების გამოცდილების შესახებ.
- ერთი ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, რომელიც ამოწმებს აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას.
- დარგის სამი ექსპერტი, რომლებიც აფასებენ პროგრამის აკადემიურ მდგრადობას და რელევანტურობას.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, რომელიც ზედამხედველობს პროცესს ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

აკრედიტაციის პროცესი და დღის წესრიგი

შეფასების პროცესი მოიცავდა მოსამზადებელ ეტაპს, სტრუქტურირებულ ადგილზე ვიზიტს და დღის წესრიგზე დაფუძნებულ განხილვას. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძვლიანი შესწავლა დაწესებულების საქმიანობისა და აკადემიური პროგრამების გასაცნობად.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა:

1. გასაუბრებები ძირითად დაინტერესებულ მხარესთან:
   - უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
   - აკადემიურ პერსონალთან
   - მოქმედ სტუდენტებთან
   - კურსდამთავრებულებთან
   - დამსაქმებლებთან და დარგის წარმომადგენლებთან
2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება:
   - დაწესებულების სასწავლო აუდიტორიების, ბიბლიოთეკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და პრაქტიკული სწავლების გარემოს დათვალიერება, რომლებიც შეფასდა როგორც მაღალი სტანდარტის მქონე. .
3. მსჯელობა პროგრამის განხორციელებაზე:
   - აქცენტი გაკეთდა პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სწავლების მეთოდოლოგიების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და დაწესებულების მისიასთან შესაბამისობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს გამოყო რამდენიმე ძლიერი მხარე: როგორც ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე დაწესებულებამ გამოავლინა საერთო მიდგომა ხარისხის გაუმჯობესების მიმართ. დაინტერესებული მხარეები აქტიურად მონაწილეობდნენ დისკუსიებში, რაც ასახავდა გამჭვირვალე და კოლეგიალურ მიდგომას. დაწესებულების ვიზიტის კოორდინაცია შეუფერხებლად მიმდინარეობდა, რაც გულისხმობს კარგად მომზადებულ დღის წესრიგს, მოთხოვნილი დოკუმენტაციის დროულ ხელმისაწვდომობას და კითხვებზე რეაგირებას. ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, რამაც უზრუნველყო პროგრამის გავლენის სრულყოფილი გააზრება. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტს გაუზიარა თავდაპირველი მიგნებები, სადაც ხაზი გაესვა ძლიერ მხარეებსა და გასაუმჯობესებელ სფეროებს. ეს საბოლოო დაკვირვებები აისახება ექსპერტთა დასკვნაში და საფუძვლად დაედება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საბოლოო გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ. ვიზიტმა წარმოაჩინა ნიუუნი-ს მყარი მზაობა შეინარჩუნოს მაღალი სტანდარტები ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში და ხელი შეუწყოს უმაღლეს განათლებაში უწყვეტი განვითარების კულტურის დამკვიდრებას.

- საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 1

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნების განახლება თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ისეთი ახალი ტენდენციების მკაფიოდ გათვალისწინებით, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტი და მდგრადი განვითარება. (1,1)
- რეკომენდებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების იმგვარად ინტეგრირება, რომ მკაფიოდ ასახავდეს ციფრულ ტრანსფორმაციას, მდგრად განვითარებასა და ტექნოლოგიურ მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკასთან შესაბამისობას. (1,2)
- რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებული წესებისა და პროგრამის სტრუქტურის საფუძვლიანი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა აკრედიტებულ ოთხწლიან ხანგრძლივობასთან. (1,4)

სტანდარტი 2.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს აკადემიური წერის სტანდარტებსა და ცოდნისა და უნარების სათანადო გამოყენებაზე. (2,2)
- რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რა პირობებში მიიღებს სტუდენტი კონკრეტულ ქულას. (2,4)
- რეკომენდებულია ლექტორებისთვის ტრენინგების ჩატარება "პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის, პრევენციისა და მათზე რეაგირების წესის" სწორად გამოყენების შესახებ. (2,4)
- რეკომენდებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის პროცესის ფორმალიზება, პროგრამის კომიტეტის უფლებამოსილების გაძლიერება, რათა მოხდეს ამ შედეგების საფუძვლიანი განხილვა და კონკრეტული სამოქმედო გეგმების შემუშავება. (2,4)

სტანდარტი 3

- რეკომენდებულია პროგრამის დონეზე შიდა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება. (3,1)

სტანდარტი 4

- რეკომენდებულია დაწესებულებამ გააძლიეროს კონტროლი აკადემიური და განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის რაციონალურ კვირეულ დატვირთვაზე, რათა არ გადააჭარბოს შრომის კანონმდებლობით დადგენილ 40 საათს, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს პერსონალის საქმიანობის ხარისხზე. (4,1)
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის წახალისების უფრო მკაფიო მექანიზმების შემუშავება, რაც ასევე აისახება პროგრამის ბიუჯეტში. (4,3)

- რეკომენდებულია მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაძლიერება (მეტი საინფორმაციო ტექნოლოგიები აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკაში), რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას. (4,4)
- რეკომენდებულია პროგრამის საჭიროებების შესაბამისად ფინანსური რესურსების გადახედვა. (4,5)

სტანდარტი 5

- მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების ზოგად აღწერას, რეკომენდებულია დამატებითი მექანიზმების შემუშავება ან ისეთი ინსტრუმენტების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს მოსალოდნელი გამოწვევებისა და რისკების აღმოფხვრას და ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურ ინტერვენციებს. (5,1)
- რეკომენდებულია პროგრამის დონეზე მონიტორინგის გაძლიერება და შედეგების გამოყენება არა მხოლოდ პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად, არამედ როგორც პრევენციული მექანიზმი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. (5,3)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

სტანდარტი 1

- სასურველია გააძლიეროთ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რაც გულისხმობს დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან პერიოდული უკუკავშირის სესიების ორგანიზებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიზნების აქტუალურობა და სწორად გააზრება. (1,1)
- სასურველია, უფრო მყარი მექანიზმის შემუშავება (არსებულთან ერთად), რომელიც საშუალებას მოგცემთ: აღმოაჩინოთ განსხვავებები დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან მიმართებაში, დაგეგმოთ მიზანმიმართული ქმედებები ამ განსხვავებების აღმოსაფხვრელად, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოთ ცვლილებები როგორც პროგრამის შინაარსში, ასევე სწავლების მეთოდებში. (1,3)
- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განახლებისას დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებები უფრო სისტემურად იქნას გათვალისწინებული, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობა ცვალებად საბაზრო მოთხოვნებთან. (1,3)
- სასურველია, გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგისა და მხარდაჭერის მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თანმიმდევრული და ზუსტი შეფასება ყველა სასწავლო კურსში. (1,3)
- სასურველია უნიკალური არჩევითი მოდულების შეთავაზება, როგორიცაა რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია ან განვითარებადი ბაზრები, რაც პროგრამას კონკურენტებისგან გამოარჩევს. (1,4)

- სასურველია, კონკრეტული მოდულების ჩართვა, რომლებიც ეხება გლობალურ ბიზნეს ტენდენციებს და კულტურათაშორის მენეჯმენტს. ასევე, სასურველია საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაძლიერება გაცვლითი პროგრამების ან ერთობლივი პროექტების ჩათვლით. (1,4)
- სასურველია, პროგრამის ონლაინ ხილვადობის გაუმჯობესება და იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი იყოს ყველა საჭირო ინფორმაცია - როგორც მიღების წესები, ასევე სასწავლო პროგრამის შინაარსი და დასაქმების შესაძლებლობები. (1,4)
- სასურველია, დაინერგოს სილაბუსების განახლების უფრო ეფექტური სისტემური პროცესი, რომელიც ასახავს დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და მიღწევებს და ეყრდნობა ინდუსტრიის წარმომადგენელთა მოსაზრებებს. (1,5)
- სასურველია, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების გადანაწილების გადახედვა იმ კურსებისთვის, რომლებსაც რთული თეორიული ან პრაქტიკული შინაარსი აქვთ, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა სწავლის სათანადო მხარდაჭერა. (1,5)
- სასწავლო პროგრამაში პრაქტიკული სწავლებისა და კვლევის დამატებითი შესაძლებლობების ინტეგრირება, როგორიცაა გაფართოებული სტაჟირება ან პროექტებზე დაფუძნებული კურსები. (1,5)

სტანდარტი 2.

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა ცნობადობის ამაღლების მიმართულებით. (2,1)
- სასურველია, პროგრამის წინაპირობებში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება, სადაც "ბიზნესის ადმინისტრირების" ნაცვლად მითითებულია "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამა. (2,1)
- სასურველია, დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმების გაფორმების საკითხზე, რათა შესაძლებელი გახდეს პრაქტიკული კომპონენტის დაუფლებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება. (2,2)

სტანდარტი 3

- სასურველია, სტუდენტების ინფორმირება იმის შესახებ, რომ მათთვის ხელმისაწვდომია იურისტის კონსულტაცია სასწავლო პროცესის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. (3,1)
- სასურველია, სტუდენტებს გაცვლითი პროგრამების მეტი შესაძლებლობები შესთავაზოთ. (3,1)
- სასურველია, სტუდენტებს უფრო მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება შესთავაზოთ. (3,1)
- სასურველია, დაწესებულებაში ფუნქციონირებდეს კაფეტერია და სპორტული ზონა. (3,1)

სტანდარტი 4

- სასურველია, სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლება, რაც შემდგომში გააუმჯობესებს მათ სამეცნიერო პროდუქტიულობას. (4,4)

სტანდარტი 5

არ არის მითითებული

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

არ ეხება

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის სრულყოფილი გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა რომ დასკვნიდან ამოეღო სამი რეკომენდაცია, რომელიც განსაზღვრული იყო სტანდარტის შემდგომ კომპონენტებთან - 1.2.2, 1.3, 2.1. რეკომენდაციების ამოღებას არ მოჰყოლია სტანდარტის მთლიანი შეფასების ცვლილება, რადგან აღნიშნულ კომპონენტებთან განსაზღვრული იყო სხვა რეკომენდაციებიც. მიუხედავად ამისა, პანელი ინარჩუნებს თავის პოზიციას ყველა სხვა რეკომენდაციასთან დაკავშირებით და მიაჩნია რომ დარჩენილი რეკომენდაციები არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი და ყველა რეკომენდაცია არის დასაბუთებულია დეტალური ანალიზით, პანელის განხილვებით და აკრედიტაციის სტანდარტებში ასახული კონკრეტული კრიტერიუმებით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამამ ნიუუნიში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და კარგი პროგრესი აჩვენა ბოლო აკრედიტაციის შემდეგ. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან და ხელახალი აკრედიტაცია მიიღო 2019 წლის 18 იანვარს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საბჭოს მიერ (გადაწყვეტილება #18). პროგრამამ წარმატებით მოახდინა თავისი მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებლებთან. სასწავლო პროგრამა განახლდა 2019 წლის ბოლო აკრედიტაციის შემდეგ, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო ინდუსტრიის მოთხოვნები, საერთაშორისო სტანდარტები და ბიზნეს განათლების თანამედროვე მიღწევები. აღსანიშნავია, რომ პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრაქტიკულ სწავლებას,

---

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

სადაც 10 ECTS ეთმობა სტაჟირების კომპონენტს, რომელიც ხორციელდება წამყვან ორგანიზაციებთან პარტნიორობის ფარგლებში.

2019 წლის აკრედიტაციის შემდეგ ნიუუნიმ განახორციელა მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები, მათ შორის გადაიხედა პროგრამის მიზნები და განახლდა სწავლის შედეგები მათი გაზომვადობისა და რელევანტურობის გასაუმჯობესებლად. სასწავლო პროგრამა გამდიდრდა ისეთი ახალი კურსებით, როგორიცაა რისკების მენეჯმენტი, ინოვაციების მენეჯმენტი და ბიზნეს კვლევის საფუძვლები და SPSS პროგრამა, რაც ასახავს თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს. გაძლიერდა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობა, რაც გულიხმობს სტუდენტთა და პერსონალის მობილობის გაზრდას, საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოებასა და დამატებითი ენობრივი კურსების (გერმანული და ჩინური) შემოტანას.

პროგრამის განსაკუთრებულობა:

პროგრამა უნიკალურად აერთიანებს თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ გამოყენებასთან, სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის ხაზგასმით. იგი მხარს უჭერს სტუდენტების კარიერულ განვითარებას ძლიერი სტაჟირების პროგრამისა და კარიერული სერვისების ხელმისაწვდომობით. გარდა ამისა, მისი აქცენტი მრავალენოვან შესაძლებლობებზე, მათ შორის ბიზნეს ინგლისურსა და სხვა უცხო ენებზე, შეესაბამება გლობალური ბიზნესის პრიორიტეტებს.

გავლენა და უწყვეტი გაუმჯობესება:

შრომის ბაზრის ყოველწლიური ანალიზისა და უკუკავშირის მექანიზმების მეშვეობით, ნიუუნი უზრუნველყოფს პროგრამის რელევანტურობასა და ეფექტურობას. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში, რაც ხელს უწყობს კვლევისა და ინოვაციების კულტურის ჩამოყალიბებას. ეს ძალისხმევა კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ როგორც ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში, ასევე გლობალურ ბიზნეს სივრცეში. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ასახავს ნიუუნი-ის მისწრაფებას უმაღლესი განათლების სრულყოფილებისკენ და მის თანხვედრას როგორც საუნივერსიტეტო, ისე ქვეყნის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

ახალი უმაღლესი სასწავლებლის (ნიუუნი) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა აჩვენებს მეტწილ შესაბამისობას სტანდარტის 1.1 მოთხოვნებთან. პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები ნათლად აყალიბებს კურსდამთავრებულთა მოსალოდნელ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს: ბიზნესის მართვის საფუძვლების ღრმა გააზრებას, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს და ცვალებად ბიზნეს გარემოსთან ადაპტირების უნარს.

მიზნები სრულად ასახავს დარგის თავისებურებებს და შესაბამისობაშია როგორც ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციათა მე-6 დონესთან, ასევე საბაკალავრო განათლების მოთხოვნებთან. ისინი შეესაბამება ნიუუნის მისიას - მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, რომლებიც წვლილს შეიტანენ ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე. ინტერნაციონალიზაციის მცდელობების ჩართვა, როგორიცაა უცხო ენების ცოდნა და პრაქტიკული მომზადების შესაძლებლობები, ხაზს უსვამს პროგრამის შესაბამისობას გლობალურ ტენდენციებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

თუმცა, არსებობს გარკვეული ხარვეზები იმის არტიკულირებაში, თუ როგორ პასუხობენ მიზნები ბიზნესის ისეთ მზარდ ტენდენციებს, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია და მდგრადობა. მართალია პროგრამა ხაზს უსვამს პრაქტიკულ გამოყენებასა და ეთიკურ საკითხებს, ეს სფეროები საჭიროებს უფრო მკაფიო ინტეგრაციას დასახულ მიზნებში. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ მიზნები რჩებოდეს ხელმისაწვდომი და გასაგები ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის, რაც აუცილებელია ფართო შესაბამისობისა და გამჭვირვალობისთვის. პროგრამის მიზნები

ავლენს მჭიდრო შესაბამისობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მისი შესაბამისი ფაკულტეტების, სკოლებისა და საგანმანათლებლო ერთეულების ზოგად მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ მიმართულებასთან. გარდა ამისა, ეს მიზნები ფართო მხარდაჭერით სარგებლობს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა შორის და საჯაროდ ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნები კარგად შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დარგობრივ მახასიათებლებს. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნები კარგად შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დარგობრივ მახასიათებლებს. ისეთი კომპონენტების ჩართვა, როგორიცაა ბიზნეს ეთიკა, პროექტის მართვა და მრავალენოვანი კომუნიკაცია, ხელს უწყობს დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობას. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობა დამაკმაყოფილებელია, მცირე გაუმჯობესების სფეროდ რჩება გლობალური და ტექნოლოგიური კომპეტენციების ინტეგრაციის გაფართოება, რათა სრულად აისახოს დარგობრივი მახასიათებლების აქცენტი სტუდენტების მომზადებაზე ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე გამოწვევებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და გასაუბრებები;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის მისია;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის შედეგები;
- დაწესებულების ვებ-გვერდიwww.newuni.edu.ge.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნების განახლება თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ისეთი ახალი ტენდენციების მკაფიოდ გათვალისწინებით, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, ხელოვნური ინტელექტი და მდგრადი განვითარება.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია გაამლიერით დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რაც გულისხმობს დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან პერიოდული უკუკავშირის სესიების ორგანიზებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიზნების აქტუალურობა და სწორად გააზრება.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	☐	X	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა აჩვენებს მეტწილ შესაბამისობას სტანდარტთან 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტური და გაზომვადია, კარგად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და დარგის მოთხოვნებს. ეს შედეგები მოიცავს ბიზნესის მართვის, სტრატეგიული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. სწავლის შედეგები ასევე მოიცავს გუნდური მუშაობის, კომუნიკაციისა და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების კრიტიკულ უნარებს, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას მე-6 დონის კვალიფიკაციებთან და ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (NQF).

სწავლის შედეგები ასახავს დარგის სპეციფიკას ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპების პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით. ისინი შეესაბამება ნიუუნის მისიას მოამზადოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კურსდამთავრებულები და წვლილი შეიტანოს ბიზნეს სექტორისა და საზოგადოების განვითარებაში. გარდა ამისა, სწავლის შედეგები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხაზს უსვამს დასაქმებასა და შემდგომი განათლებისთვის მომზადებას. მრავალენოვანი კომუნიკაციისა და ანალიტიკური კომპეტენციების განვითარების ჩართვა ხაზს უსვამს ინტერნაციონალიზაციის ტენდენციებთან შესაბამისობის მცდელობას.

თუმცა, არსებობს მცირე ხარვეზები ისეთი მზარდი ბიზნეს ტენდენციების ასახვაში, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, მდგრადობა და ტექნოლოგიური მიღწევები ამ ელემენტების მკაფიო ინტეგრაცია გააძლიერებდა პროგრამის რელევანტურობას სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია, დამსაქმებელთა მოლოდინებთან და გლობალურ ტენდენციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჭირო პერიოდული განახლებები უფრო მკაფიოდ უნდა

იყოს დოკუმენტირებული. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა წარმოადგენს ყოვლისმომცველ, კოლაბორაციულ პროცესს, რომელშიც ჩართულია დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრი, მათ შორის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, მოწვეული ლექტორები, მიმდინარე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დარგის დამსაქმებლები, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივ და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის სასწავლო პროგრამას. სწავლის შედეგების გამჭვირვალობისა და შესაბამისობის შესანარჩუნებლად, პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები აქტიურად აცნობენ დადგენილ სწავლის შედეგებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო მიზნებისა და მოსალოდნელი კომპეტენციების შესახებ საერთო გაგების ჩამოყალიბებას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დარგობრივ მახასიათებლებს. სწავლის შედეგები შეესაბამება მე-6 დონის კვალიფიკაციებისთვის განსაზღვრულ კომპეტენციებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების აღჭურვას შესაბამისი თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარებითა და პროფესიული ღირებულებებით. პროგრამა ეფექტურად აბალანსებს ძირითად ბიზნეს განათლებას ისეთ ტრანსფერულ უნარებთან, როგორიცაა ლიდერობა, კომუნიკაცია და ეთიკური პასუხისმგებლობა. თუმცა, დარგობრივ მახასიათებლებთან სრული შესაბამისობისთვის, გლობალურ კომპეტენციებზე მეტი აქცენტის გაკეთება, მათ შორის ციფრული უნარებისა და მდგრადი განვითარების პრაქტიკების ჩათვლით, გააუმჯობესებდა შესაბამისობას და უკეთ მოამზადებდა კურსდამთავრებულებს დინამიური საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და გასაუბრებები;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის შედეგები;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების რუკა;
- დაწესებულების ვებ-გვერდი: www.newuni.edu.ge;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- კურიკულუმის რუკა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ისე ინტეგრირება, რომ მკაფიოდ ასახავდეს ციფრულ ტრანსფორმაციას, მდგრად განვითარებასა და ტექნოლოგიურ მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკასთან შესაბამისობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	X	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუუნის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მნიშვნელოვან ძლიერ მხარეებს ავლენს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში. დაწესებულება იყენებს სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე მეთოდოლოგიას სწავლის შედეგების შესაფასებლად, რაც უზრუნველყოფს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტ 1.3-თან შესაბამისობას. შეფასების ციკლი ეფექტურად მოიცავს მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს, რაც ხელს უწყობს თანმიმდევრულ მონიტორინგს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება ასახავს დარგისთვის შესაფერისი პრაქტიკის დაცვას. სასწავლო კურსის რუკები, რომლებიც აკავშირებს სწავლის შედეგებს კურსის მიზნებთან, აუმჯობესებს სიცხადეს, ხოლო სამიზნე ნიშნულების ინტეგრაცია უზრუნველყოფს გაზომვადობასა და მიღწევადობას. აღსანიშნავია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აქტიური ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ზედამხედველობაში, ისევე როგორც დაინტერესებული მხარეებისგან, მათ შორის დამსაქმებლებისა და სტუდენტებისგან, პერიოდული უკუკავშირის შეგროვება.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების მექანიზმი შეესაბამება სტანდარტ 1.3-ის მოთხოვნების უმეტესობას, გარკვეული სფეროები საჭიროებს გაუმჯობესებას თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის აღწერილობა მიუთითებს მკაფიო დეტალების ნაკლებობაზე იმის შესახებ, თუ

როგორ არიან შეფასების პროცესში სისტემატურად ჩართული გარე დაინტერესებული მხარეები, როგორიცაა კურსდამთავრებულები და პროფესიული ასოციაციები. ამან შეიძლება გამოიწვიოს შრომის ბაზრიდან მიღებული ღირებული მოსაზრებების პროგრამის გაუმჯობესებაში ინტეგრირების შესაძლებლობების ხელიდან გაშვება.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, არასაკმარისად არის წარმოდგენილი სისტემური რეაგირების მტკიცებულებები იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება ამ ნიშნულებიდან გადახრა. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდებისა თუ შეფასების სისტემის ცვლილების პროცესი არ არის საკმარისად დეტალურად აღწერილი, რამაც შესაძლოა შეაფერხოს პროგრამის უნარი დროულად უპასუხოს გამოვლენილ ხარვეზებს. აკადემიური პერსონალის შეფასების მეთოდებთან გაცნობის არსებული მექანიზმები საჭიროებს განვითარებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების ერთიანი მიდგომები და პროცედურების თანმიმდევრული განხორციელება.

ნიუუნის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შეფასების მექანიზმი მეტწილად შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტ 1.3-ს. თუმცა, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, განსაკუთრებით დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და სისტემური შემდგომი ნაბიჯების კუთხით, გააუმჯობესებს პროგრამის უნარს მოერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უზრუნველყოს მუდმივი განვითარება. მოცემული რჩევები მიზნად ისახავს ამ სფეროების გაძლიერებას პროგრამის არსებული ძლიერი მხარეების შენარჩუნებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და გასაუბრებები;
- ახალი უმაღლესის სასწავლებლის– ნიუუნის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 4);
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები/კურიკულუმის რუკა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- დაწესებულების ვებგვერდი: www.newuni.edu.ge;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უფრო მყარი მექანიზმის შემუშავება (არსებულთან ერთად), რომელიც საშუალებას მოგცემთ: აღმოაჩინოთ განსხვავებები დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან მიმართებაში, დაგეგმოთ მიზანმიმართული ქმედებები ამ განსხვავებების

აღმოსაფხვრელად, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოთ ცვლილებები როგორც პროგრამის შინაარსში, ასევე სწავლების მეთოდებში.

- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განახლებისას დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებები უფრო სისტემურად იქნას გათვალისწინებული, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობა ცვალებად საბაზრო მოთხოვნებთან.
- სასურველია, გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგები და მხარდაჭერის მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანმიმდევრული და ზუსტი შეფასება ყველა სასწავლო კურსში.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ეს ანალიზი აფასებს ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას სტანდარტ 1.4-თან. ეს ანალიზი განიხილავს პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს, ავლენს შესაბამისობის სფეროებსა და პრობლემებს ამ ქვე-სტანდარტისთვის. ნიუუნიში ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადად კარგად არის სტრუქტურირებული და შეესაბამება ამ სტანდარტის ძირითად ასპექტებს. პროგრამა შეესაბამება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) სახელმძღვანელო პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს კრედიტების განაწილების შესაბამისობას

საერთაშორისო სტანდარტებთან. გარდა ამისა, პროგრამა ასახავს შესაბამისობას უმაღლესი განათლების მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობასთან, რაც მყარ საფუძველს ქმნის მისი სამართლებრივი და აკადემიური ჩარჩოსთვის.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ და სტრუქტურირებულ პროგრესიას ზოგადიდან კონკრეტულისკენ და მარტივიდან რთულისკენ. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

კრედიტების განაწილება

კრედიტები განაწილებულია სავალდებულო, არჩევით და პრაქტიკულ კომპონენტებად.

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები/საგნები/მოდულები: 151 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები/საგნები/მოდულები: 15 კრედიტი
- პრაქტიკის კომპონენტი: 10 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო და არჩევითი): 64 კრედიტი
- სავალდებულო კომპონენტი (სულ): 191 კრედიტი
- არჩევითი კომპონენტი (სულ): 49 კრედიტი
- პროგრამის კრედიტები სულ: 240 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები - 191 კრედიტი; ეს მოიცავს 151 კრედიტს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებიდან/საგნებიდან/მოდულებიდან, 10 კრედიტს სასწავლო/პრაქტიკული კომპონენტიდან და 30 კრედიტს თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსებიდან/საგნებიდან/მოდულებიდან. სავალდებულო კომპონენტი ასევე მოიცავს:

- ბიზნესის ინგლისური: 10 კრედიტი
- ზოგადი უცხო ენა: 20 კრედიტი

არჩევითი საგნები - 49 კრედიტი; ეს მოიცავს 15 კრედიტს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო-არჩევითი კურსებიდან/საგნებიდან/მოდულებიდან და 34 კრედიტს თავისუფალი კომპონენტის არჩევითი საგნებიდან. არჩევითი საგნები შეიძლება მოიცავდეს კურსებს სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან.

არჩევითი კურსები შემუშავებულია ტრანსფერული კომპეტენციების განსავითარებლად ან კონკრეტული სექტორული უნარების გასაძლიერებლად, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მოარგონ თავიანთი საგანმანათლებლო პროფილები ინდივიდუალურ საჭიროებებს. პროგრამა შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობას და მიჰყვება

ECTS-ის ჩარჩოს, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობას. პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არიან ჩართული დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რაც ხელს უწყობს მის რელევანტურობასა და პრაქტიკულ ორიენტაციას. პროგრამა მოიცავს კვლევითი შედეგების გარკვეულ ასპექტებს, რაც აძლიერებს მის რელევანტურობას სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობას, კარგად განსაზღვრული სწავლის შედეგებით, რომლებიც ასახავს პროგრამის მიზნებს.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა აკმაყოფილებს ზოგად აკადემიურ სტანდარტებს, მის შინაარსსა და სტრუქტურას აკლია მკაფიო მახასიათებლები, რომლებიც მას გამოარჩევს მსგავსი პროგრამებისგან. უნიკალურ მოდულებზე მეტი აქცენტი, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, ფინტექი, ნიშური ბაზრის კვლევები ან სპეციალიზებული ინდუსტრიული პრაქტიკა, შეიძლება გააძლიეროს მისი კონკურენტული პოზიცია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მსგავს პროგრამებთან შედარებით. არჩევითი მოდულების სწავლის შედეგებსა და პროგრამის საერთო შედეგებს შორის კავშირი მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული. ეს არ არის კრიტიკული საკითხი, თუმცა შესაძლოა ხელი შეუშალოს პროგრამის შესაძლებლობას სრულად წარმოაჩინოს თანმიმდევრულობა და შესაბამისობა.

პროგრამა ავლენს თანამედროვეობასთან ფეხის აწყობის ვალდებულებას ახალი კვლევითი შედეგებისა და დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებით, რაც უზრუნველყოფს მისი სასწავლო პროგრამის აქტუალურობასა და პროგრესულობას. უფრო მეტიც, პროგრამის განვითარება ხასიათდება თანამშრომლობითი მიდგომით, რომელიც აქტიურად რთავს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, მათ შორის აკადემიურ და კვლევით პერსონალს, მოწვეულ ლექტორებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და ინდუსტრიის დამსაქმებლებს, რაც ხელს უწყობს ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი საგანმანათლებლო გამოცდილების ჩამოყალიბებას.

ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრებამ უნივერსიტეტის სხვადასხვა წარმომადგენელთან გამოავლინა მნიშვნელოვანი შეუსაბამობა პროგრამის სტრუქტურაში, სადაც სტუდენტებს პოტენციურად შეუძლიათ კურსის დამთავრება ოფიციალურად აკრედიტებულ ოთხწლიან ხანგრძლივობაზე ადრე, რაც ბადებს კითხვებს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობასა და პროგრამის დიზაინის მთლიანობასთან დაკავშირებით. ეს შეუსაბამობა აკრედიტებული პროგრამის ხანგრძლივობასა და კურსის დამთავრების რეალურ ვადებს შორის არა მხოლოდ ეჭვქვეშ აყენებს კურიკულუმის აკადემიურ მდგრადობას, არამედ პოტენციურად ძირს უთხრის ინსტიტუციის აკრედიტაციის სტატუსის სანდოობას.

მიუხედავად ინტერნაციონალიზაციაზე მითითებებისა, პროგრამა იძლევა შეზღუდულ კონკრეტულ მაგალითებს ან მოდულებს, რომლებიც ფოკუსირებულია გლობალური

ბიზნესის კონტექსტზე ან კროს-კულტურულ კომპეტენციებზე. პროგრამაში ჩართულია ზოგიერთი უცხო ენა და ეს არის ინტერნაციონალიზაციის შეზღუდული ასპექტები. გარდა ამისა, შესაძლებელია პროგრამის ხილვადობის გაუმჯობესება საჯარო პლატფორმებზე, როგორიცაა ინსტიტუციის ვებგვერდი და სპეციალური სოციალური მედია გვერდები, ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. ზოგადად, ნიუუნი-ის BBA პროგრამა შეესაბამება სტანდარტ 1.4-ის რამდენიმე ასპექტს, განსაკუთრებით ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და ECTS სტანდარტებთან შესაბამისობაში. თუმცა, ისეთი შემოთავაზებების გათვალისწინება, როგორიცაა პროგრამის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება და ინტერნაციონალიზაციის გაფართოება, გააძლიერებს მის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან და გაზრდის მის მიმზიდველობას სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი:
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების მეთოდოლოგია;
- დაწესებულების ვებ-გვერდი:www.newuni.edu.ge;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებული წესებისა და პროგრამის სტრუქტურის საფუძვლიანი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა აკრედიტებულ ოთხწლიან ხანგრძლივობასთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნიკალური არჩევითი მოდულების შეთავაზება, როგორიცაა რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია ან განვითარებადი ბაზრები, რაც პროგრამას კონკურენტებისგან გამოარჩევს.
- სასურველია, კონკრეტული მოდულების ჩართვა, რომლებიც ეხება გლობალურ ბიზნეს ტენდენციებს და კულტურათაშორის მენეჯმენტს. ასევე, სასურველია საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაძლიერება გაცვლითი პროგრამების ან ერთობლივი პროექტების ჩათვლით.
- სასურველია, პროგრამის ონლაინ ხილვადობის გაუმჯობესება და იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი იყოს ყველა საჭირო ინფორმაცია - როგორც მიღების წესები, ასევე სასწავლო პროგრამის შინაარსი და დასაქმების შესაძლებლობები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	X	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი ასათვისებელი დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ეს ანალიზი აფასებს ბიზინესის ადმინისტრირების საგანმანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას სტანდარტ 1.5-თან. ანალიზი ეყრდნობა თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამის აღწერის დოკუმენტს და აკრედიტაციის გასაუბრებიდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ხაზს უსვამს როგორც დადებით პრაქტიკებს, ასევე გასაუმჯობესებელ მხარეებს. სტანდარტის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის გასაუმჯობესებლად წარმოდგენილია კონკრეტული რჩევები.

პროგრამა აჩვენებს სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების სრულ თანხვედრას, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერაში წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებითა და სასწავლო კურსების სილაბუსებით. ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა 'ბიზნეს სტატისტიკა' და 'მენეჯერული ეკონომიკა', პირდაპირ უკავშირდება პროგრამის დონის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს ლოგიკურ პროგრესიას. პროგრამა ითვალისწინებს სილაბუსების პერიოდულ განახლებას და შესაბამისი ლიტერატურისა და სასწავლო მასალების ჩართვას. მაგალითად, სასწავლო კურსები მოიცავს უახლეს კვლევებსა და დარგის მიღწევებს, რაც ხაზგასმულია სასწავლო კურსების შინაარსის ბოლოდროინდელ ცვლილებებში, როგორიცაა 'ბიზნეს კვლევის საფუძვლები და SPSS' პროგრამა. სწავლის შედეგების შეფასებისა და მიღწევის ეფექტურობას უზრუნველყოფს მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების მექანიზმები და კრედიტების განაწილება. თითოეული კურსისთვის კრედიტების განაწილება კარგად არის დასაბუთებული, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების გათვალისწინებით.

მიუხედავად ამ ძლიერი მხარეებისა, ზოგიერთი სფერო საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას სტანდარტ 1.5-თან სრული შესაბამისობისთვის. გარკვეულ სილაბუსებში შეზღუდულია დარგში არსებული უახლესი მიღწევების ასახვა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კურსი რეგულარულად ახლდება, სხვები, როგორიცაა 'სტრატეგიული მენეჯმენტის შესავალი', ეყრდნობა მოძველებულ რესურსებს, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს პროგრამის რელევანტურობას თანამედროვე ინდუსტრიულ პრაქტიკასთან მიმართებაში. არათანმიმდევრულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების განაწილება კურსებს შორის. მაგალითად, კომპლექსური შინაარსის მქონე ზოგიერთ კურსში, როგორიცაა 'ინოვაციების მენეჯმენტი', სტუდენტების უკეთ მხარდასაჭერად სასურველია საკონტაქტო საათების გაზრდა.

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა ნიუუნი–ში აჩვენებს არსებითად შესაბამისობას სტანდარტ 1.5-თან თავისი მყარი სტრუქტურის, კურსების ლოგიკური პროგრესიისა და შეფასების ეფექტური მექანიზმების გამოყენების მეშვეობით. თუმცა, გასაუმჯობესებელი სფეროების მოგვარება, როგორიცაა სილაბუსების განახლება, კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან და მის რელევანტურობას შრომის ბაზართან. აქ წარმოდგენილი რჩევები წარმოადგენს გზამკვლევს ამ განვითარების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების მეთოდოლოგია (დანართი 3);
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (იხ. დანართი 12);

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაინერგოს სილაბუსების განახლების უფრო ეფექტური სისტემური პროცესი, რომელიც ასახავს დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და მიღწევებს და ეყრდნობა ინდუსტრიის წარმომადგენელთა მოსაზრებებს.

- სასურველია, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების გადანაწილების გადახედვა იმ კურსებისთვის, რომლებსაც რთული თეორიული ან პრაქტიკული შინაარსი აქვთ, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა სწავლის სათანადო მხარდაჭერა.
- სასურველია სასწავლო პროგრამაში პრაქტიკული სწავლებისა და კვლევის დამატებითი შესაძლებლობების ინტეგრირება, როგორიცაა გაფართოებული სტაჟირება ან პროექტებზე დაფუძნებული კურსები.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც

უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (რანჟირების დოკუმენტი), გარდა საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ" განსაზღვრული შემთხვევებისა. პროგრამაში ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა, გერმანული ენა), მათემატიკა/ისტორია. სტუდენტების ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ხდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად. გარდა ამისა, უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც სურს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხვა, ვალდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაიაროს გასაუბრება და წარმოადგინოს სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (მინიმუმ B2); საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს გასაუბრების ვიდეოჩანაწერის ხელმისაწვდომობას.

წელსაც პროგრამაზე მისაღები კვოტა იყო 100 სტუდენტი, გასული წლების მსგავსად. თუმცა, წარმოდგენილი მაჩვენებლების მიხედვით ჩარიცხულთა რაოდენობა 10-დან 21-მდე მერყეობს. ქვოტის მნიშვნელოვანი ნაწილი ივსება გარე მობილობით გადმოსული სტუდენტებით. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობაა 216. გასაუბრების დროს თვითშეფასების ჯგუფმა აღნიშნა, რომ მუდმივად ატარებენ მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვას. საწყისი ჩარიცხვების დაბალი რაოდენობა განპირობებულია უნივერსიტეტის შესახებ დაბალი ცნობადობით, ხოლო გარე მობილობა - ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების არსებობით. პროგრამაზე მიღება ხორციელდება უწყვეტად 2019 წლიდან, თუმცა ზემოაღნიშნული თავისებურებებით.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის პროგრამის სპეციფიკას. ამასთან, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კონცეფცია განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე

პროგრამების კატალოგში. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე პირთა დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა ჩართვას. დაშვების წინაპირობები ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩართვას პროგრამაში;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ლოგიკურ კავშირშია პროგრამის შედეგებთან, სწავლების შინაარსთან, საფეხურთან, კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დაწესებულების პროგრამაში სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან სტუდენტთა ჩარიცხვის, აქტიური სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ფაქტობრივი რაოდენობის შეუსაბამობა და იმუშაოს ამ გამოწვევის დასაძლევად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს მუშაობა უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდაზე.
- სასურველია, პროგრამის წინაპირობებში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება, სადაც "ბიზნესის ადმინისტრირების" ნაცვლად მითითებულია "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	X	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას და სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართვას. პროგრამა სავალდებულო კურსებში მოიცავს - აკადემიურ წერას (5 ECTS კრედიტი) საინფორმაციო ტექნოლოგიებს (5 ECTS კრედიტი), პროექტის მართვას (5 ECTS კრედიტი), პრაქტიკას (10 ECTS კრედიტი); არჩევით კურსებში - კრიტიკულ აზროვნებას და ლოგიკას (4 ECTS კრედიტი), კვლევის მეთოდების შესავალს (3 ECTS კრედიტი), ბიზნეს კვლევების საფუძვლებს და SPSS- ს (4 ECTS კრედიტი), საბაკალავრო ნაშრომს (10 ECTS კრედიტი). ასევე, ცალკეული სასწავლო კურსები მოიცავს პრაქტიკული პროექტების გაცნობასა და პრეზენტაციას.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილია პროგრამის სწავლების შედეგებისა და სწავლების საფეხურის შესაბამისად. პრაქტიკის პერიოდში ან კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში, სტუდენტს ხელმძღვანელობს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის სამუშაოს. ეს დადასტურებულია პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსებში წარმოდგენილი ინფორმაციით.

ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა:

1. საბაკალავრო ნაშრომები;
2. სტუდენტური კონფერენციის მასალები;
3. პრაქტიკის დღიურები;
4. პრაქტიკის ანგარიშები;
5. საგრანტო კვლევით პროექტებში ჩართულობის შესახებ ინფორმაცია;
6. საბაკალავრო პროგრამისა და პრაქტიკის შეფასების რესურსები.

დამატებითი წარმოდგენილი დოკუმენტების და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ჯგუფებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პრაქტიკულ და კვლევით პროექტებზე მუშაობა ხორციელდება პროგრამით, სილაბუსებითა და საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

პრაქტიკას ხელმძღვანელობს ნიუუნის-ის წარმომადგენელი (პროგრამის ხელმძღვანელი, დარგის სპეციალისტი - აკადემიური პერსონალი ან მოწვეული სპეციალისტი), რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე. პრაქტიკის ხელმძღვანელი სტუდენტებს ეხმარება პრაქტიკის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრაში, აკონტროლებს პრაქტიკის კეთილსინდისიერად განხორციელებას და პრაქტიკის დღიურის წარმოებას, ხელმძღვანელობს პრაქტიკის ანგარიშის მომზადებას, აფასებს სტუდენტის მიერ პრაქტიკის დასრულების შემდეგ მიღწეულ კომპეტენციებს და სხვა.

პრაქტიკის განსახორციელებლად, მასპინძელი ორგანიზაცია განსაზღვრავს მენტორს, პრაქტიკის ობიექტის/ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტის მუშაობაზე პრაქტიკის ობიექტზე, მისი ქცევის ზედამხედველობასა და სამუშაოს კოორდინირებაზე. მენტორი პირდაპირ ეხმარება სტუდენტს დაკისრებული პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში, სემესტრის განმავლობაში ამოწმებს სტუდენტის პრაქტიკის დღიურს, მონიტორინგს უწევს სტაჟირების კეთილსინდისიერად ჩატარებასა და სტაჟირების დღიურის წარმოებას, ზედამხედველობს სტაჟირების ანგარიშის მომზადებას, აფასებს სტუდენტის მიერ სტაჟირების დასრულების შემდეგ მიღწეულ კომპეტენციებს და სხვა.

სტაჟირების დასრულების შემდეგ მენტორი ამზადებს დახასიათებას, რომელიც აღწერს სტუდენტის მიერ სტაჟირების პერიოდში შესრულებულ სამუშაოს, გამოვლენილ/შეძენილ კომპეტენციებს და სხვა.

დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან (7 ორგანიზაცია) გაფორმებული შეთანხმებები, სადაც მითითებულია პრაქტიკაზე მიღებული სტუდენტების რაოდენობა, ასევე პრაქტიკის მიზანი, შედეგი და ხანგრძლივობა. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის ორგანიზაციებთან გაფორმებული შეთანხმებები მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას არ ემსახურება. პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან შეთანხმებები ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დამსაქმებლებთან გასაუბრების პროცესში აღინიშნა, რომ წლების განმავლობაში ისინი უზრუნველყოფენ აღნიშნული პროგრამის სტუდენტების სტაჟირების კომპონენტს, და მათი დიდი ნაწილი დასაქმებულია. გარდა ამისა, სკოლა ბიზნესპარტნიორებს სთავაზობს დასაქმების ფორუმებში მონაწილეობას.

სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, დაწესებულება ორგანიზებას უწევს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს როგორც ექსტრაკურიკულარულ აქტივობას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის გამოქვეყნებული ნაშრომები: ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია აკადემიური წერის სტანდარტები, განსაკუთრებით წყაროების მითითების წესი. გასაუბრების დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური წერა სტუდენტებისთვის სავალდებულო საგნად არის შეთავაზებული აკადემიური წერის სტანდარტების შესასწავლად და ასევე, შეთავაზებულია შესაბამისი არჩევითი საგნები.

გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია აქტივობები, რომლებიც სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. აღნიშნული აქტივობების შესახებ ინფორმაცია დადასტურდა დამსაქმებლებთან, აკადემიური პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებიების პროცესში. სტუდენტურ ღონისძიებებთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია კოლეჯის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საბაკალავრო ნაშრომები;
- სტუდენტური კონფერენციის მასალები;
- პრაქტიკის დღიურები;
- პრაქტიკის ანგარიშები;
- საგრანტო კვლევით პროექტებში ჩართულობის შესახებ ინფორმაცია;
- საბაკალავრო პროგრამისა და პრაქტიკის შეფასების რესურსები
- გასაუბრებები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს აკადემიური წერის სტანდარტებსა და ცოდნისა და უნარების სათანადო გამოყენებაზე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმების გაფორმების საკითხზე, რათა შესაძლებელი გახდეს პრაქტიკული კომპონენტის დაუფლებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	X	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების დონეს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სასწავლო მეთოდების შემდეგი კომბინაციაა გამოყენებულია: განმარტებითი მეთოდი, კითხვა-პასუხის მეთოდი, დებატები, შემთხვევის ანალიზის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, სტატისტიკური ანალიზი, ცხრილები, გრაფიკები და სხვა. მიღებული ცოდნის საფუძველზე, სტუდენტი დამოუკიდებლად ასრულებს სხვადასხვა აქტივობას, როგორიცაა პრეზენტაციის მომზადება, სტატისტიკური დაკვირვებების ჩატარება და სხვა. წიგნზე მუშაობის მეთოდი - სტუდენტები ამუშავებენ სილაბუსში მითითებულ და სხვა ლიტერატურულ წყაროებს (მაგალითად, ჟურნალებს, ინტერნეტ-რესურსებს და სხვ.) შესაბამისი რეფერირებით, კვლევითი ნაშრომებისა და/ან პოპულარული სტატიების მოსამზადებლად.

პრაქტიკის პროცესში გამოიყენება სპეციფიკური მეთოდები და აქტივობები: ვერბალური (მენტორთან და პრაქტიკის ხელმძღვანელთან კომუნიკაცია, დისკუსია, აზრების ფორმირება და სხვ.); წერითი (ჩანაწერები, პრაქტიკის დღიურის შევსება, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება და სხვ.); საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (ინფორმაციის მოძიება და დამუშავება კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი პროგრამების გამოყენებით,

პრაქტიკული ხასიათის დავალებების შესრულება, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება და შედგენა და სხვ.); აგრეთვე პრაქტიკის პროცესში გამოყენებულია განმარტების, დემონსტრირების, ქმედებაზე ორიენტირებული, პრობლემაზე დაფუძნებული და სხვა მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახული მიზნების და შედეგების მიღწევას და რეალურ სამუშაო გარემოში ადაპტაციისა და პრაქტიკული სამუშაოსათვის საჭირო პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას. პრაქტიკისა და პრაქტიკის ანგარიშის მომზადების პროცესში სტუდენტი ასრულებს კონკრეტულ პრაქტიკულ დავალებებს, მოიძიებს და შეისწავლის შესაბამის ინფორმაციას და მონაცემებს, აანალიზებს შესრულებულ სამუშაოს, აყალიბებს დასკვნებს და ა.შ. გამოყენებული მეთოდების შერჩევა და მათი კომბინაცია მიმართულია სტუდენტების აქტიური ჩართულობისკენ პრაქტიკის პროცესში, სტუდენტის თეორიული ცოდნის გასაძლიერებლად და პრაქტიკული უნარების ჩამოსაყალიბებლად.
სწავლებისა და სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, მისი შემუშავების საფუძვლები, შემუშავებაში ჩართული პირები და სხვა საკითხები განისაზღვრება ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუუნის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელით.

პროგრამაზე საერთაშორისო სტუდენტები არ სწავლობენ, რაც ექსპერტთა ჯგუფს მისცემდა მათი გამოცდილების შეფასების შესაძლებლობას სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების შემუშავების პროცესში კულტურული და/ან სხვა საჭიროებების გათვალისწინების თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამა და სილაბუსი;
- ნიუუნის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი
- ნიუუნის სწავლება-სწავლის მეთოდები და საბაზისო ფორმები (ინფორმატიული, მასალის აღმწერი პერსონალისა და სტუდენტებისათვის);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	**X**	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი). სტუდენტთა შეფასების პროცესს ესაჭიროება გარკვეული ცვლილებები, რათა ის სრულად გამჭვირვალე, სამართლიანი და სანდო გახდეს თითოეული სტუდენტისთვის. დეტალები მოცემულია ქვემოთ. შეფასება შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება). თითოეული კურსის კომპონენტები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას.

საბაკალავრო პროგრამა სთავაზობს საბაკალავრო ნაშრომს როგორც არჩევით კურსს, რომლის სილაბუსშიც შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ხოლო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები სამართლიანი. თუმცა, მაინც არსებობს შეფასების კრიტერიუმების ცვლილების საჭიროება (იხილეთ ქვემოთ).

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ზოგადად გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომი და წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის. თუმცა არსებობს გარკვეული გამონაკლისები. ზოგიერთი სილაბუსის შემთხვევაში საჭიროა ცვლილებები, რათა შეფასების კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული. მაგალითად, კურსის „ბიზნესის სამართალი“ სილაბუსში „თეორიული საკითხის“ შეფასების სკალა ასეთი სახით არის მოცემული - 9-10; 7-8; 5-6; 3-4; 1-2; 0. სიზუსტისა და მკაფიოობის გასაუმჯობესებლად, საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს ის პირობები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი მიიღებს, მაგალითად, 9 ქულას 10-ის ნაცვლად. შესაბამისად, რეკომენდებულია იმ პირობების მკაფიოდ განსაზღვრა, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუდენტს მიიღოს კონკრეტული ქულა.

აღნიშნული რეკომენდაცია ვრცელდება იმ სილაბუსებზე (მაგალითად: „ინვესტიციების საფუძვლები“, „საბაკალავრო ნაშრომი“ და სხვ.), სადაც მსგავსი შემთხვევა არსებობს.

გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები და ლექტორები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

სტუდენტთა შეფასების პროცესში მოქმედებს ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმები. ისინი რეგულირდება შიდა დამტკიცებული დოკუმენტებით - „ეთიკის კოდექსითა“ და „პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების წესით“. ლექტორებთან გასაუბრების დროს ნახსენები იყო, რომ სტუდენტების ნაშრომების შეფასებისას დაშვებულია მსგავსების 18%-იანი დონე, ხოლო შეფასებები ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ. თუმცა, „პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების წესი“ მკაფიოდ ადგენს მსგავსების 15%-იან ზღვარს და ნაშრომების ვერიფიკაციისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, რომელიც იყენებს პლაგიატის გამოვლენის კონკრეტულ პლატფორმას. ამიტომ რეკომენდებულია ლექტორებისთვის ტრენინგების ორგანიზება „პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების წესის“ სწორად გამოყენებაზე, აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის განვითარების ხელშესაწყობად.

სტუდენტებს აქვთ აპელაციის უფლება, რომელიც განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და სტუდენტებთან გასაუბრებიების დროს დადასტურდა მისი არსებობა. სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულნი ამ შესაძლებლობის შესახებ. აპელაციის პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია. ის შეიძლება მოიცავდეს შეფასების შედეგების გადახედვასა და გადაწყვეტილების მიღებას სხვა შემფასებლ(ებ)ის მიერ.

გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ შეფასებებთან დაკავშირებით სტუდენტები ლექტორებისგან იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს.

უნივერსიტეტმა დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა 2022-2023 და 2023-2024 წლების საგაზაფხულო სემესტრების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანგარიშები. პროგრამის კომიტეტის შეხვედრის ოქმებში არ არის აღნიშნული, რომ აღნიშნული ანგარიშები განხილული იყო, თუმცა გასაუბრებს დროს ლექტორებმა აღნიშნეს, რომ ისინი იღებენ შედეგებს და განიხილავენ შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვას. კონკრეტული ქმედებები, რომლებიც განხორციელდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე, გაურკვეველია, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, იყო თუ არა ეს ქმედებები მიმართული სწავლების პროცესის გაუმჯობესებისაკენ. შესაბამისად, რეკომენდებულია ანალიზის პროცესის ფორმალიზება, პროგრამის კომიტეტის გაძლიერება, რათა შეძლოს შედეგების საფუძვლიანი გადახედვა, ქმედითი გეგმების შემუშავება და მათი განხორციელებისა და გავლენის მონიტორინგი დროთა განმავლობაში.

აუცილებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასებას ელექტრონული /დისტანციური სწავლის მეთოდის გამოყენებით, კურსის სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასებების

სანდოობისა და ვალიდურობის მონიტორინგს, მათ შორის ელექტრონული /დისტანციური სწავლის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ეთიკის კოდექსი
- პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების წესი
- სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ანალიზის ანგარიშები
- პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რა პირობებში მიიღებს სტუდენტი კონკრეტულ ქულას.
- რეკომენდებულია ლექტორებისთვის ტრენინგების ჩატარება "პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის, პრევენციისა და მათზე რეაგირების წესის" სწორად გამოყენების შესახებ.
- რეკომენდებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის პროცესის ფორმალიზება, პროგრამის კომიტეტის უფლებამოსილების გაძლიერება, რათა მოხდეს ამ შედეგების საფუძვლიანი განხილვა და კონკრეტული სამოქმედო გეგმების შემუშავება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4. სტუდენტების შეფასება:	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, სტუდენტები იღებენ კონსულტაციებს სხვადასხვა დეპარტამენტებისაგან. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებს დროს. უნივერსიტეტში სწავლის დასაწყისში, სტუდენტთა კონსულტირებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი, თუმცა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების საკითხებზე მათ ასევე მხარს უჭერენ სხვა დეპარტამენტები და პერსონალი (დეკანი, დეკანის მოადგილე, იურისტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საბიბლიოთეკო წარმომადგენლები, ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და უსაფრთხოების სამსახური). კითხვაზე, თუ ვის მიმართავენ უფლებების დარღვევის შემთხვევაში. მათ აღნიშნეს, რომ მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა, მაგრამ თუ მსგავსი რამ მოხდებოდა, მიმართავდნენ შესაბამის ლექტორს ან უნივერსიტეტის რექტორს. სასურველია სტუდენტების ინფორმირება, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ იურისტის კონსულტაცია საგანმანათლებლო პროცესის სამართლებრივ ასპექტებზე.

აღსანიშნავია, რომ ლექტორები სტუდენტებს უწევენ კონსულტაციებს, განსაზღვრული სასწავლო გეგმის ფარგლებს მიღმაც. გასაუბრებიების დროს კონსულტაციების სხვადასხვა ფორმა იყო მოხსენიებული, მათ შორის პირისპირ შეხვედრები და ონლაინ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები. ექსპერტების მოთხოვნით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა კონსულტაციების განრიგი. სტუდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი სიძლიერეა ლექტორებთან და ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის სიმარტივე, ასევე მხარდამჭერი ლექტორები. სხვა უნივერსიტეტებიდან გადმოსულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ამ უნივერსიტეტს სხვებისაგან გამოარჩევს მეგობრული და მხარდამჭერი ზრუნვა და პროცესების მოქნილობა.

იმის გამო, რომ პროგრამაზე საერთაშორისო სტუდენტები არ სწავლობენ, ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის მექანიზმებისა და პრაქტიკის შეფასება ვერ განხორციელდა. რეკომენდებულია პროგრამის დონეზე გაუმჯობესდეს „ინტერნაციონალიზაცია სახლში“ განვითარება (მაგალითად: მოწვეული ლექტორების ჩართვა, საერთაშორისო სტუდენტების მიღება, საერთაშორისო კონფერენციების, ზაფხულის/ზამთრის ბანაკების, კონკურსების ორგანიზება) და სტუდენტებისთვის კულტურული გაცვლის, გლობალური პერსპექტივების გაზიარების, უცხო ენის პრაქტიკის, პროფესიული ქსელის გაზრდის, ასევე ტოლერანტობისა და ემპათიის გაუმჯობესების შესაძლებლობების მიწოდება.

სტუდენტებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევით სტიპენდიებში და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მრავალი შესაძლებლობა არსებობს. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებზე, რომლებიც შესაბამისობაშია მათ სასწავლო და კვლევითი მიზნებთან. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები წლიდან წლამდე იზრდება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში მონაწილეობის შესაძლებლობები ბევრი არ არის, უნივერსიტეტმა უნდა იმუშაოს შესაძლებლობების დივერსიფიცირებაზე და სტუდენტებს უნდა დაეხმაროს პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობაში. გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურთ უფრო მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება, გაცვლის მეტი შესაძლებლობები, კაფეტერია და სპორტული დარბაზი. სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, უნივერსიტეტს შეუძლია ორგანიზება გაუწიოს სოციალური და სამოქალაქო ჩართულობის პროექტებს, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე ფოკუსირებულ პროექტებს (მაგალითად: სხვადასხვა კლუბის შექმნა), ჩაატაროს ვორქშოფებია, უზრუნველყოს რესურსები სტუდენტებისთვის სამეწარმეო იდეების, მდგრადობაზე კონცენტრირებული პროექტებისა და სხვა ინიციატივების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;

- გასაუბრების სესიები
- პერსონალის სამუშაო აღწერილობა და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- დამატებითი დოკუმენტი - სტუდენტთა სია - გაცვლითი და საერთაშორისო პროექტები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის დონეზე შიდა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, სტუდენტების ინფორმირება იმის შესახებ, რომ მათთვის ხელმისაწვდომია იურისტის კონსულტაცია სასწავლო პროცესის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.
- სასურველია, სტუდენტებს გაცვლითი პროგრამების მეტი შესაძლებლობები შესთავაზოთ.
- სასურველია, სტუდენტებს უფრო მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება შესთავაზოთ.
- სასურველია, დაწესებულებაში ფუნქციონირებდეს კაფეტერია და სპორტული ზონა. **შეფასება**

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	☐	X	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

➢ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალი შეირჩევა კონკურსის წესით, საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რესურსების მართვის პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის, დაქირავებისა და შენარჩუნების წესებს, კრიტერიუმებს და პროცედურებს და აერთიანებს პერსონალის მართვის ძირითად პოლიტიკას, პროცედურებს და რეგულაციებს.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები. მათი ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და სამსახურებრივ ფუნქციებს. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას ადასტურებს დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაბამისი

პუბლიკაციები, სამეცნიერო საქმიანობა და კვლევითი პროექტები, რომლებიც განხორციელდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. მოწვეული პერსონალი ან ფლობს დოქტორის ხარისხს შესაბამის დარგში, ხოლო მისი კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით, ან გააჩნია ფართო პრაქტიკული გამოცდილება ინდუსტრიაში, კერძო ბიზნესსა თუ საჯარო სექტორში. თითოეულ მოწვეულ პერსონალს აქვს სწავლების გამოცდილება. პერსონალის ცოდნას და კომპეტენციას ადასტურებს პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაცია (რეზიუმე, განათლების, კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები). აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტს დადგენილი აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა შესაბამისად წარმოდგენილია პერსონალის სამუშაო დატვირთვის განრიგი, სადაც აღწერილია მათი საგანმანათლებლო, კვლევითი და დამატებითი პასუხისმგებლობები. აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ყოველკვირეული დატვირთვა ძირითადად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ზღვრებს, რომლითაც ნებადართულია არაუმეტეს 40 საათისა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სემესტრული დატვირთვის დოკუმენტაციის მიხედვით, რამდენიმე მოწვეული პერსონალის ყოველკვირეული დატვირთვა მნიშვნელოვნად აჭარბებს 40 საათს. ასევე, სტუდენტებთან კონსულტაციისთვის განკუთვნილი საათები არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ დატვირთვის სქემაში.

აკადემიური (29, აქედან 19 აფილირებული) და მოწვეული პერსონალის (14) რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა ადეკვატურია სტუდენტთა რაოდენობისთვის (216). აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (2.07) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, რადგან სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების დაახლოებით 80 პროცენტი ისწავლება აკადემიური პერსონალის მიერ. ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადინების მაჩვენებელი (0%) ასევე უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინსა და განვითარებაში, რაც გულისხმობს პროგრამის ხელმძღვანელისთვის რეკომენდაციების გაზიარებას და რჩევების მიცემას პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აკადემიური პერსონალი ასევე მონაწილეობს სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში (მაგალითად, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სტუდენტური კონფერენციის თემების ხელმძღვანელობა). სწავლების გარდა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სტუდენტთა კონსულტაციების პროცესში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროფესიული ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის. მისი კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო საქმიანობით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის დიზაინის, შეფასების, განვითარების და განხორციელების პროცესში.

პროგრამის განხორციელება ხდება ფაკულტეტის ბაზაზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მხარდაჭერით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (დეკანის ოფისი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ბიბლიოთეკა და სხვ.) ჩართულია სტუდენტების მომსახურებაში. შესაბამისად, სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი რაოდენობის და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათზე დაკისრებულ ფუნქციებს. აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მომსახურების გარდა, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მონაწილეობის შესაძლებლობებს სპორტულ, კულტურულ და სოციალურ აქტივობებში. გასაუბრების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულება ქირაობს სპორტულ დარბაზს სპორტული შეჯიბრებებისთვის, ორგანიზებას უწევს ექსკურსიებს და სხვა კულტურულ ღონისძიებებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	29	15	16	19
- პროფესორი	11	7	8	6
- ასოცირებული პროფესორი	18	8	8	13
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	14	9	6	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV და მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაია.
- თვითშეფასების ანგარიში
- პერსონალის დატვირთვა

[5]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაიცულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია დაწესებულებამ გააძლიეროს კონტროლი აკადემიური და განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის რაციონალურ კვირეულ დატვირთვაზე, რათა არ გადააჭარბოს შრომის კანონმდებლობით დადგენილ 40 საათს, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს პერსონალის საქმიანობის ხარისხზე.

რჩევები პროგრამის განსავითარებლად: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსი	☐	X	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

| **სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | **ნაშრომის ხელმძღვანელები** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები** | **მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი** |

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება N/A

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ახორციელებენ ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურები, რომლებიც (უნივერსიტეტის მენეჯმენტთან ერთად) ასევე მხარს უჭერენ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. შეფასების პროცესში ასევე ჩართულნი არიან ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი. შეფასება მოიცავს პერსონალის პედაგოგიური საქმიანობისა და მიღწევების ანალიზს, ხოლო აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, კვლევითი საქმიანობის შეფასებასაც. პედაგოგიური საქმიანობის შეფასება ხორციელდება სემესტრულად, ხოლო კვლევითი საქმიანობის - ყოველწლიურად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და პროცესი აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მექანიზმების დოკუმენტში. პროგრამის ხელმძღვანელი/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თითოეულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად აცნობს რეკომენდაციებს. უნივერსიტეტი რეგულარულად უწევს ორგანიზებას ტრენინგებსა და კონფერენციებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.

უსდ უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს (მატერიალური, ფინანსური, საინფორმაციო რესურსები და ა.შ.) პერსონალის პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის ხელშესაწყობად და ხელს უწყობს პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში.

უნივერსიტეტს აქვს შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის, რომლის შედეგებიც გამოიყენება პერსონალის განვითარების, დაწინაურების ან შეცვლის გადაწყვეტილებების მისაღებად. შეფასების სისტემა მოიცავს შემდეგი ტიპის შეფასებებს:

- აკადემიური პერსონალის ყოველწლიური ანგარიშები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ;
- დეკანის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება;
- პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება;
- სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება;
- სტუდენტების მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება.

სტუდენტები აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიურ საქმიანობას აფასებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით. კითხვარი სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, აკადემიური ან მოწვეული პერსონალი შეაფასონ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების შესაბამისობა; ახსნის უნარი; სასწავლო მასალის შესაბამისობა და

ხელმისაწვდომობა; ლექტორის მიერ გამოენებული შეფასების მეთოდები; ლექტორით საერთო კმაყოფილება და ა.შ.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი დამატებით შეფასებას გადის სასწავლო კურსების მონიტორინგის პროცესის ფარგლებში, რომელიც რეგულარულად, ყოველ აკადემიურ სემესტრში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების მიერ. სტუდენტების მონაწილეობა პერსონალის შეფასების პროცესში დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების დროს.

ადამიანური რესურსების განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები რეგულარულად აცნობენ შეფასების შედეგებს საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და შესაბამის ადმინისტრაციულ პერსონალს. შეფასების შედეგები გამოიყენება ნიუუნის საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემდგომი განვითარების დასაგეგმად, მათი აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად და პროფესიული განვითარებისათვის.

გარდა ამისა, აკადემიური და განსაკუთრებით მოწვეული პერსონალი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ მხარდაჭერას საკუთარ აკადემიურ საქმიანობაში, როგორიცაა სილაბუსის მომზადება ან საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში სათანადოდ ჩართვა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან იღებს მხარდაჭერას შესაბამისი ტრენინგებისა და შეხვედრების მეშვეობით, რომლებიც დადასტურდა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ჩატარებულ გასაუბრებიებში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეგულარულად იღებს ინფორმაციას სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესაძლებლობების შესახებ, როგორიცაა კონფერენციები, ეროვნული და საერთაშორისო საგრანტო კონკურსები და სხვა. მათ რეგულარულად სთავაზობენ შეხვედრებს, რომლებიც მიზნად ისახავს მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერასა და გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა შეიმუშავა პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა დაფინანსების პროცედურებს. აღნიშნული პოლიტიკა პერსონალს საშუალებას აძლევს მიიღოს დაფინანსება ნიუუნისაგან სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობისათვის. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს, ზოგიერთმა მონაწილემ დაადასტურა, რომ მიიღეს დაფინანსება ახალი უმაღლესი სასწავლებლისაგან, სხვადასხვა კონფერენციაში მონაწილეობის, წიგნების გამოცემის ან სამეცნიერო სტატიების დაბეჭდვისათვის. თუმცა, დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს უფრო მკაფიო მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობას და აისახება პროგრამის ბიუჯეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV და მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაია.
- თვითშეფასების ანგარიში

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი და 2022-2023 აკადემიური წლის განვითარების გეგმა
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაიცულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის წახალისების უფრო მკაფიო მექანიზმების შემუშავება, რაც ასევე აისახება პროგრამის ბიუჯეტში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☐	X	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ უნივერსიტეტის კამპუსი. შეფასების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ნიუუნიმ განავითარა ინფრასტრუქტურა თავისი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რაც უმეტესად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტი ძირითადად აღჭურვილია საგანმანათლებლო პროცესის

განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით, მათ შორის აუდიტორიებით, კომპიუტერული ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით და გამოცდების ცენტრით.

ნიუუნის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა უმეტესწილად უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: სასწავლო მერხები, დაფები, მაგიდები, სკამები, კომპიუტერები და პროექტორები.

სტუდენტებს, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს აქვთ წვდომა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და კომპიუტერულ აღჭურვილობაზე, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან და უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამებით, რომელთა გამოყენება/სწავლებაც სილაბუსებით არის გათვალისწინებული. დაწესებულების ტერიტორიაზე მოქმედებს უფასო უსადენო ინტერნეტის ქსელი (WiFi). სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად, უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული სერვისების სისტემა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები იღებენ ინფორმაციას და მონიტორინგდება მათი აკადემიური მოსწრება. ეს წარმოადგენს სტუდენტებს, ადმინისტრაციას და პროფესორ-მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის გამარტივებულ ოფიციალურ საშუალებას. აღნიშნული შიდა საინფორმაციო პორტალი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გადაწყვიტონ ადმინისტრაციული საკითხები, მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით, დაგეგმონ/განახორციელონ საგანმანათლებლო პროცესი და მიიღონ სხვადასხვა ინფორმაცია სტუდენტური ცხოვრების შესახებ.

ნიუუნიში ფუნქციონირებს მცირე ბიბლიოთეკა კვალიფიციური პერსონალით, სადაც განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული ბეჭდური წიგნები და სასწავლო მასალები, ასევე ელექტრონული ლიტერატურა. ბიბლიოთეკის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ინვენტარი (მაგიდები, სკამები, კომპიუტერები, პრინტერები და ასლის აპარატები). ბიბლიოთეკაში ასევე არის მცირე სამკითხველო დარბაზი, თუმცა სტუდენტებისთვის იქ კომპიუტერები, პრინტერები და ასლის აპარატები არ არის განთავსებული. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ელექტრონული ლიტერატურის საძიებო სისტემა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://newuni.edu.ge/new-higher-education-institutes-library/.

ნიუუნის ბიბლიოთეკას წვდომა აქვს შემდეგ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე:

Cambridge Journals Online

e-Duke Journals Scholarly Collection

European Respiratory Journal

IMechE Journals

Mathematical Sciences Publishers Journals

Royal Society Journals Collection

SAGE Premier

EBSCO - host

EDWARD ELGAR PUBLISHING JOURNALS AND DEVELOPMENT STUDIES E-BOOKS

Open edition

PROJECT GUTENBERG

OPEN LIBRARY

MANYBOOKS

THE OAPEN Etc.

თუმცა, სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებული სამეცნიერო ბაზების არსებობისა და შესაძლებლობების შესახებ.

ბიბლიოთეკის გამოყენების წესები გამოქვეყნებულია ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საუნივერსიტეტო აუდიტორიები (ჭყონდიდელის ქუჩა 56, თბილისი, საქართველო);
- ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერება ვიზიტისას.
- ნიუუნის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაძლიერება (მეტი საინფორმაციო ტექნოლოგიები აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკაში), რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ხელმისაწვდომი სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლება, რაც შემდგომში გააუმჯობესებს მათ სამეცნიერო პროდუქტიულობას.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

4.4 მატერიალური რესურსი	☐	**X**	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად მიღწევადია და უმეტესსწილად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები მოიცავს სასწავლო რესურსების გაუმჯობესებას, პერსონალის განვითარების აქტივობებისთვის განკუთვნილ თანხებს, სტუდენტური აქტივობების დაფინანსებას, ხელფასებს (აკადემიური, ადმინისტრაციული, პროგრამის ხელმძღვანელის), პერსონალის წახალისების სახსრებს, სტუდენტურ სტიპენდიებსა და შეღავათებს, შიდა და გარე შეფასებისათვის საჭირო ხარჯებს და სხვა.

პროგრამის ბიუჯეტში შედის სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა. ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ ბიუჯეტის 0.67% (1500 ლარი) გათვალისწინებულია ექსტრაკურიკულარული აქტივობებისათვის, პერსონალის სამუშაო გამოცდილების, უნარებისა და შესაბამისი ჩვევების განვითარების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვის/ორგანიზებისთვის - 0.33%, სტუდენტებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების კურსების ორგანიზებისა და განხორციელებისთვის - 0.44%, ხოლო სასწავლო და საოფისე ტექნიკის შეძენის/განახლებისთვის კი - 0.67%.

ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ნიუუნის ბიუჯეტის დამტკიცების პროტოკოლი, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში პროგრამის სფეროების საჭიროებებისა და სპეციფიკის განხილვის შესახებ ინფორმაცია არ იყო მოცემული.

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად მიღწევადია და მნიშვნელოვანად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის როგორც პერიოდული, ისე ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები. შემოსავლის წყაროები მოიცავს სწავლის საფასურსა და ტრენინგებს, რაც დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი.
- ბიუჯეტის დამტკიცების პროტოკოლი
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის საჭიროებების შესაბამისად ფინანსური რესურსების გადახედვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუუნის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა ორიენტირებულია შემდეგი მიზნების მიღწევაზე: ინსტიტუციური მენეჯმენტის ყველა საოპერაციო პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, ადგილობრივი და საერთაშორისო აღიარების ხელშეწყობა, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის გაზრდა ყველა სტრუქტურული ერთეულის დონეზე, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში ცენტრალიზებულია უწყვეტი გაუმჯობესების, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და თანამშრომლობის პრინციპების როლი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, სერვისებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს სემესტრულ და ყოველწლიურ გამოკითხვებზე და რთავას ყველა დაინტერესებულ მხარეს შეფასების შედეგების ანალიზში, რათა შეინარჩუნოს ეფექტური მონიტორინგი და მოახდინოს განვითარეიბს ტენდენციების იდენტიფიცირება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და სააკრედიტაციო ვიზიტისას გამოვლენილი მიგნებების მიხედვით, პროგრამის შეფასება ხდება რეგულარულად და მისი შედეგები ზოგადად გამოყენებულია პროგრამის განვითარებისათვის.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA – „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – იმოქმედე“ - პრინციპს. პროგრამის შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რომლებიც თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და იზიარებენ პრინციპებსა და მექანიზმებს პროგრამის შიდა ხარისხის სათანადოდ შეფასების უზრუნველსაყოფად.

სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ხელს უწყობს მათი ჩართულობის გაზრდას, შეფასების კონსტრუქციული პროცესის უზრუნველსაყოფად. პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ერთობლივად მზადდება, განსაკუთრებით აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით. თვითშეფასების პროცესი და სამუშაო ჯგუფში შესაბამისი დავალებების განაწილება უზრუნველყოფს სისუსტეების იდენტიფიცირებას და შემდგომი განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრას.

შიდა ხარისხის შეფასების პროცესში პრობლემების განსაზღვრის მიზნით გამოიყენება კითხვარები. აღნიშნული კითხვარები მიზნად ისახავს სტუდენტებისა და პერსონალის საჭიროებებისა და მოთხოვნების გამოვლენას, ასევე ზოგადი კმაყოფილების შეფასებას, პროგრამის ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გასაზომად. ელექტრონული სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის უსდ-მ განსაზღვრა შესაბამისი მექანიზმები, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებმა, შეფასების შედეგებმა და გასაუბრებიებმა აჩვენა, რომ სათანადო განხორციელებისთვის, საჭიროა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირება და მოდიფიკაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არა მხოლოდ ჩართულია განათლების მენეჯმენტის ყველა პროცესში, არამედ ასევე ვალდებულია უზრუნველყოს ეფექტური საოპერაციო მონიტორინგი და შესაბამისობა კანონმდებლობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს სისტემის ფუნქციონირების ზოგად აღწერას, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აუცილებელია დამატებითი მექანიზმების შემუშავება ან ინსტრუმენტების დანერგვა, რომლებიც მიმართული იქნება პოტენციური გამოწვევებისა და რისკების აღმოფხვრაზე. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის უფრო არსებითი ინტერვენციების შესაძლებლობას. რეკომენდებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის პერსონალთან ერთად მუდმივად მუშაობდეს პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში იდენტიფიცირებული გამოწვევების აღმოფხვრაზე, განსაკუთრებით სტუდენტების მიერ პროგრამის განსაზღვრულ ვადაში და მოთხოვნების შესაბამისად დასრულების უზრუნველსაყოფად და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ელექტრონულ სასწავლო პროცესთან ადაპტირების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები
- შიდა და გარე შეფასების ანგარიშები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების ზოგად აღწერას, რეკომენდებულია დამატებითი მექანიზმების შემუშავება ან ისეთი ინსტრუმენტების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს მოსალოდნელი გამოწვევებისა და რისკების აღმოფხვრას და ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურ ინტერვენციებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	☐	**X**	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

გარე ხარისხის უზრუნველყოფა უსდ-ში ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების მეშვეობით, რომელთაც მართავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. დაწესებულება, როგორც წესი, განიხილავს რეკომენდაციებს და რჩევებს და მიგნებები მიეწოდება პროგრამის პერსონალს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და მენეჯმენტის ზედა რგოლი უზრუნველყოფენ რეკომენდაციების გაზიარებას განვითარების პროცესში. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2019 წელს (საბჭოს გადაწყვეტილება №18). აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ პროგრამასთან დაკავშირებული წინა რეკომენდაციები გათვალისწინებულია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროგრამის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად ფასდება გარე ექსპერტების მიერ. პროგრამა შემუშავებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების გამოცდილებისა და მოსაზრებების აქტიური გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობას. პროგრამა პოზიტიურად

შეფასდა დარგის ექსპერტების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ გეომედს (საქართველო) და პოლონეთის სიედლცეს უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და ხარისხის მეცნიერებათა ინსტიტუტს. ექსპერტებმა გამოკვეთეს პროგრამის ძლიერი მხარეები და მნიშვნელობა კვალიფიციური პროფესიონალების მომზადების პროცესში, მისი სტრუქტურა და შინაარსი, ადამიანური რესურსები, სწავლების მეთოდები, შინაარსი და მრავალფეროვანი არჩევითი კურსები. ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები პროგრამის თვითშეფასების პროცესში გათვალისწინებულია პროგრამის გუნდიეს მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები
- შიდა და გარე შეფასების ანგარიშები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- კოლეგიალური შეფასებები
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.2. გარე ხარისხის შეფასება	**X**	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის, უსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე აქტორებს. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის ძირითადი ინსტრუმენტებია კვლევები, რომლებიც ტარდება აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ყოველი სავალდებულო კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტები აფასებენ კურსს სპეციალური შეფასების ფორმის შევსებით. გამოკითხვები გამოიყენება გაუმჯობესებებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებისთვის და მონიტორინგის ეფექტური პროცესის უზრუნველსაყოფად. შრომის ბაზრის ანალიზი პროგრამის დაგეგმვისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. შეფასების პროცესის შედეგები ზიარდება დაინტერესებულ მხარეებთან და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის. პროგრამის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან პროგრამის განვითარების ჯგუფი და ფაკულტეტის საბჭო, რომლებიც პროგრამაში ასახავენ დარგის თანამედროვე მიღწევებსა და ტენდენციებს. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ასევე ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მიმოხილვას. თუმცა, მონიტორინგის შედეგების პროგრამის განვითარებისა და ხარვეზების აღმოფხვრისთვის კომპლექსურად გამოყენების მიზნით, საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლის გაძლიერება პროგრამის დონეზე მონიტორინგსა და ანგარიშგებაში, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისა და სტუდენტებზე კვალიფიკაციის მინიჭების შეფასების ნაწილში.

დაწესებულებას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდული შეფასების პრაქტიკა წინასწარ განსაზღვრული საკლასო დაკვირვების საშუალებით. საკლასო დაკვირვება ხორციელდება კოლეგების მიერ, იმავე ან სხვა პროგრამებიდან, მათ შორის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, ფაკულტეტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით. შეფასების მიზანია ლექციების ხარისხზე, სილაბუსთან შესაბამისობაზე, სწავლებისა და სწავლის წინასწარ განსაზღვრულ მეთოდებზე დაკვირვება, განვითარების ტენდენციების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

დაწესებულება უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის ბენჩმარქინგს. პროგრამის განვითარების ჯგუფმა ბენჩმარქინგის პროცესში შეისწავლა ოთხი უნივერსიტეტის მსგავსი პროგრამები საერთაშორისო დონეზე: ბოკონის უნივერსიტეტი, ესადეს ბიზნეს-სკოლა, რუმინულ-ამერიკული უნივერსიტეტი და ვეხტას უნივერსიტეტი. საერთო ასპექტებთან ერთად, გამოვლინდა განვითარების მრავალი შესაძლებლობა, რამაც გავლენა მოახდინა პროგრამის შემუშავების პროცესზე და აერთიანებს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ პრაქტიკებსა და მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები
- შიდა და გარე შეფასების ანგარიშები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- ანალოგიური პროგრამების ანალიზი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის დონეზე მონიტორინგის გაძლიერება და შედეგების გამოყენება არა მხოლოდ პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად, არამედ როგორც პრევენციული მექანიზმი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
ბიზნესის ადმინისტრირება, VI საფეხური, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	X	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	X	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	X	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	X	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	X	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მუჰამედ აბდულ რაუფი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ეკა ლეკაშვილი

სრული სახელი, ხელმოწერა

სრული სახელი, ხელმოწერა

სრული სახელი, ხელმოწერა